

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას პროექტების მართვის ოფისის IT პროექტების მართვის სპეციალისტის პოზიციაზე.

სამუშაოს სპეციფიკა: პოზიცია მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს საინტერესო და ძლიერი პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები, მათ შორის შიდა და ორგანიზაციის გარეთ ტრენინგების მეშვეობით.

პროექტების ფარგლებში ეროვნული ბანკი ითანამშრომლებს წამყვანი ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და ცნობილ ლოკალურ და უცხოურ კომპანიებთან.

IT პროექტების მართვის სპეციალისტის იმუშავებს პროექტების მართვის ოფისის უფროსის დაქვემდებარებაში და პროექტების მართვასთან ერთად მონაწილეობას მიიღებს პროექტების პორტფელის მართვასთან დაკავშირებულ აქტივობებში.

ძირითადი მოვალეობები:

- პროექტების კომუნიკაციის გეგმისა და პროცედურების ფარგლებში ინფორმაციის მიღება, გაგზავნა, შეტყობინება, უკუკავშირის უზრუნველყოფა;
- პროექტის ფარგლებში შეხვედრების დაგეგმვა და დოკუმენტირება;
- პროექტის აქტივობებისა და იდენტიფიცირებული რისკების მონიტორინგი, შესაბამისი ჩანაწერებისა და ანგარიშების წარმოება;
- მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ფარგლებში პერიოდული ანგარიშების უზრუნველყოფა, ანგარიშების კონსოლიდაცია;
- პროექტის კომპონენტებისა და აქტივობების განხორციელების ვადების კონტროლი;
- პროექტის დაგეგმილი და რეალური ბიუჯეტის პერიოდული კონტროლი წინასწარ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად;
- დეპარტამენტების მხარდაჭერა ბიზნეს-ქეისების და პროექტის ინიცირების დოკუმენტის მომზადებისას;
- პროექტის ხარისხის მართვასთან დაკავშირებული ინდიკატორების კონტროლი;
- პროექტების ცვლილებების მართვის პროცედურების ფარგლებში შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება;
- პროექტის ფარგლებში საჭირო სამუშაო სტანდარტების დაცვის კონტროლი საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული წესებისა და პროცედურების გათვალისწინებით;

ძირითადი მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება, ბაკალავრიატი/მაგისტრატურა (ინფორმაციული ტექნოლოგიების და/ან პროექტის მართვა); სასურველია დიპლომი ან სერტიფიკატი სამუშაო პროფილით;
- პროექტის მართვის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება;
- პროექტების მართვის საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა (PMI, PRINCE);
- ინფორმაციულ-კომპიუტერული ტექნოლოგიების პროფესიულ დონეზე ცოდნა;
- ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა;

კომპეტენციები:

- ლიდერობა და გუნდის მართვის უნარი;
- პრეზენტაციის ჩატარების უნარი;
- კრიტიკულ სიტუაციაში სწრაფად რეაგირებისა და პრობლემის გადაჭრის უნარი;
- მაღალი დონის ვერბალური და წერილი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები;
- გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები;
- დროის მართვის უნარ-ჩვევები;
- გამოკვეთილი ორგანიზაციული უნარ-ჩვევები;
- პროექტის მართვის ტექნიკურ საშუალებებთან მუშაობის გამოცდილება (MS Project, ან სხვა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, საოფისე პროგრამები).

ანაზღაურება განისაზღვრება კანდიდატის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისად.

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ **2018 წლის 8 დეკემბრამდე** CV გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: vacancies@nbg.gov.ge და სათაურში მუთითეთ ვაკანსიის დასახელება: **IT პროექტების მართვის სპეციალისტი**